# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 439

"27" ნოემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №82-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 13 აგვისტოს №37 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 27 ოქტომბრის №04/19458 წერილის (AR1333341) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №82-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1333341 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქ. თბილისი, ვაკე, ბაგები, ჭავჭავაძის 82-ში მდებარე ტერიტორიის
განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის სავალდებულო დეტალური რუკა

შეთანხმებულია
ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ.
არქიტექტურის სამსახურთან



| სსზ-1 | 17-650 |
|---|---|
| 0.5 | 3.5 |
| 0.1 | ძ |





1. ზონის სახეობა
2. ...
3. განაშენიანების კოეფიციენტი კ-1
4. ...კოეფიციენტი კ-2
5. გამწვანების კოეფიციენტი კ-3
6. ...

| | |
|---|---|
| 1 | 2 |
| 3 | 4 |
| 5 | 6 |



შპს.
"დემარკი"

D MARK ARCHITECTURAL COMPANY